კონფიდენციალურობის პოლიტიკა

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა განსაზღვრავს „კოკა-კოლას გათამაშების აპლიკაცია 2024“-სთვის (შემდგომში - **,,გათამაშება“**) არსებულ და დაწესებულ კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც, გათამაშების მიმდინარეობის ეტაპზე მოხდება მასში მონაწილე პირების პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და განადგურება. წინამდებარე გათამაშება ტარდება სს ,,კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს (ს/ნ 201948063) მიერ (**,,პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პასუხისმგებელი პირი“ - შემდგომში - ,,გათამაშების ორგანიზატორი“**), ხოლო გათამაშების ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს შპს ტექზი (ს/ნ 405663893) რომელიც წარმოადგენს **,,პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს“**, (შემდგომში - **,,კომპანია“**);

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა განსაზღვრავს, გათამაშების მონაწილეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს, მას შემდეგ რაც ისინი გადაწყვეტენ გათამაშებაში მონაწილეობას, დარეგისტრირდებიან შესაბამის პლატფორმაზე და გამოთქვამენ თანხმობას მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

პერსონალური მონაცემები, რომლებსაც ჩვენ ვამუშავებთ/შესაძლოა დავამუშაოთ:

- სახელი, გვარი;
- პირის დაბადების თარიღი;
- ტელეფონის ნომერი;
- კოკა-კოლას გათამაშების ფარგლებში, კოკა-კოლას თავსახურზე მოთავსებული და მონაწილის მიერ მიღებული ათნიშნა კოდი;
- უშუალოდ გათამაშების მიმდინარეობისას, დოლურადან ამოღებული ბილეთის მფლობელი გათამაშების მონაწილესთან სატელეფონო საუბრის (თუკი ასეთი შედგება) აუდიო ჩანაწერი;
- ასევე, რამდენადაც გათამაშების გამარჯვებულებს გადაეცემათ შესაბამისი პრიზები, უშუალოდ პრიზის გადაცემისას შედგება სპეციალური ფოტო, ვიდეო გადაღება,რა დროსაც კომპანიის მიერ დამუშავდება გამარჯვებულების პერსონალური მონაცემების შემცველი ფოტო და ვიდეო მასალა;
- კომპანიის მიერ ასევე შესაძლოა დამუშავდეს უშუალოდ გათამაშებაში მონაწილე პირის მიერ კომპანიისთვის გაზიარებული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, ფოტო ან/და ვიდეო მასალა;
- გამომდინარე იქიდან, რომ გათამაშებაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს (გარდა გათამაშების რეგლამენტით განსაზღვრული გამონაკლისი პირებისა), გათამაშებაში მონაწილეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანია მასში მონაწილე პირთა იდენტიფიცირება;
- გათამაშებაში მონაწილე პირთა პერსონალური მონაცემების - ტელეფონის ნომრის დამუშავების მიზანია გათამაშების გამარჯვებულთან შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება;
- გათამაშებაში მონაწილე პირთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ლეგიტიმური მიზანია თაღლითობის თავიდან აცილება;
- გათამაშების მონაწილე პირთა პერსონალური მონაცემების ფოტო/ვიდეო მასალის დამუშავების (რომელიც შეიცავს მათ პერსონალურ მონაცემებს) მიზანია გათამაშების ორგანიზატორის მიერ აღნიშნული გათამაშების შედეგების უტყუარობისა და სანდოობის დადასტურება, რომ გათამაშების გამარჯვებულებს უშუალოდ გადაეცათ შესაბამისი პრიზები, ასევე აღნიშნული გათამაშების შედეგის მარკეტინგული მიზნისათვის გამოყენება;

პერსონალურ მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების წყარო:

- პერსონალური მონაცემები კომპანიის მიერ გროვდება გათამაშების მონაწილისაგან პერსონალური მონაცემების ნებაყოფლობით გაზიარების შედეგად;
- კომპანიის მიერ გათამაშების მონაწილის პერსონალური მონაცემები გროვდება მონაწილის მიერ საკუთარი სურვილით დარეგისტრირებით აპლიკაციაში და საკუთარი პერსონალური მონაცემების შეყვანის გზით;

- კომპანიის მიერ გათამაშების მონაწილის პერსონალური მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს ასევე, გათამაშების მონაწილისაგან მისი სხვაგვარად მიწოდების შემთხვევაში; (თუკი გათამაშების მონაწილე თავად გაუზიარებს გათამაშების ორგანიზატორს ან/და კომპანიას გათამაშებასთან დაკავშირებულ ფოტო/ვიდეო მასალას);

პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველი:

- გათამაშების მონაწილე ნებაყოფლობით აწვდის კომპანიას მის პერსონალურ მონაცემებს, როდესაც იგი რეგისტრირდება გათამაშების პლატფორმაზე;
- გათამაშების მონაწილე შესაბამის პლატფორმაზე რეგისტრაციის დროს აცხადებს თანხმობას, რომ მოხდეს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის იგი თავიდანვე აცხადებს თანხმობას, რომ გამარჯვების შემთხვევაში თანახმაა მონაწილეობა მიიღოს სპეციალურ ფოტო/ვიდეო გადაღებაში, ასევე ამ გადაღებისას აღბეჭდილი ვიზუალური მასალა გამოყენებულ იყოს გათამაშების ორგანიზატორის მიერ სარეკლამო მიზნებისათვის, ნებისმიერ მედიაში და სოციალურ პლატფორმებზე ტერიტორიის შეუზღუდავად;
- გათამაშების მონაწილე ასევე აცხადებს თანხმობას, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საიტზე - http://cokerewards.ge და სოციალურ მედიაში გამოქვეყნდება ინფორმაცია მისი სახელისა და გვარის მითითებით, გათამაშების დასრულებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში;
- გათამაშების მონაწილე შესაბამის თანხმობას გასცემს გათამაშებაში ჩართვამდე, ზემოაღნიშნულ აპლიკაციაში რეგისტრაციისას, შესაბამისად, გათამაშების გამარჯვებულ მონაწილეს უფლება არ აქვს უარი თქვას, შემდგომი ფოტო/ვიდეო გადაღებაში მონაწილეობაზე;
- პირი, რომელიც უარს განაცხადებს მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე, ვერ მიიღებს მონაწილეობას გათამაშებაში, რამდენადაც გათამაშებაში გამარჯვებულის გამოვლენა ხდება მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველზე;

პერსონალურ მონაცემთა გამოყენება:

გათამაშების მიმდინარეობისას დამუშავებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემი გამოყენებული იქნება:

- გათამაშების მიმდინარეობისას;
- გათამაშებაში გამარჯვებული პირის იდენტიფიცირებისათვის;
- გათამაშებისათვის კოკა-კოლას თავსახურზე მითითებული ათ ნიშნა კოდების ვალიდაციისთვის;
- გათამაშების გამარჯვებულთათვის პრიზების გასანაწილებლად;
- გათამაშებაში მონაწილე პირებთან კომუნიკაციისათვის, მათ ანგარიშებთან (იგულისხმება გათამაშებაში ჩართვისათვის აპლიკაციაში რეგისტრაცია) და პრიზებთან დაკავშირებით;
- გამოყენებული იქნება მარკეტინგული მიზნებისათვის (ფოტო/ვიდეო მასალა, რომელიც შეიცავს გამარჯვებული პირების პერსონალურ მონაცემებს);

პერსონალურ მონაცემთა შენახვა:

- გათამაშების მიმდინარეობისას შეგროვებული ნებისმიერი სახის პერსონალური მონაცემი შეინახება ,,Azure Cloud“-ზე, რომელიც იმართება Microsoft-ის Azure CosmosDB-ის მეშვეობით და წარმოადგენს დიდი რაოდენობით მონაცემთა შენახვისათვის განკუთვნილ, მაღალი ხარისხისა და მასშტაბური შენახვისათვის არსებულ პლატფორმას;

- გათამაშების მიმდინარეობისას შეგროვებული პერსონალური მონაცემები შენახული იქნება 2025 წლის 15 თებერვლამდე. 2025 წლის 15 თებერვლის შემდგომ აღნიშნული მონაცემები განადგურდება;

პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება და დაშიფვრა:

- გათამაშების მიმდინარეობისას შეგროვებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებისათვის მათ შესანახად გამოიყენება დაშიფვრის Advanced Encryption Standard (AES) სისტემა;

- გათამაშებაში მონაწილე პირთა პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხო შენახვისათვის გამოიყენება Azure Key Vault;

- პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხო შენახვისათვის, არაავტორიზებული წვდომისაგან თავის დასაცავად გამოიყენება Azure Front Door და Cloudflare Web Application Firewalls (WAF) DDoS;

- გათამაშების მიმდინარეობისას შეგროვებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებისათვის აპლიკაციაში რეგისტრაციისას კოკა-კოლას თავსახურზე არსებული კოდების მრავალჯერ სისტემაში არასწორად შეყვანის შემთხვევაში მომხმარებელს დროებით შეეზღუდება წვდომა აპლიკაციაზე;

- გათამაშების მიმდინარეობისას შეგროვებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებისათვის სერვერზე არსებული მოთხოვნის რაოდენობის სამართავად მოხდება რეიტინგის შეზღუდვა;

პერსონალ მონაცემთა დაცვის შესაბამისობა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან:

- გათამაშების მიმდინარეობისას დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე გავრცელდება უსაფრთხოების ზომები, რომლებიც შესაბამისობაშია -,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან;

- გათამაშების მიმდინარეობისას შეგროვებული ყველა პერსონალური მონაცემი იქნება დაშიფრული და უსაფრთხოდ შენახული;

- პერსონალური მონაცემები მაქსიმალურად იქნება დაცული მასში შეღწევისაგან და მესამე პირთა ხელში მოხვედრისაგან;

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ზემოთ (პერსონალურ მონაცემთა შენახვის ნაწილში) მითითებული სისტემების გამოყენებით დაცული იქნება ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან;

- კომპანია ადასტურებს, რომ არ მოხდება გათამაშების მიმდინარეობისას შეგროვებული პერსონალური მონაცემების მესამე პირებზე გაყიდვა ან/და სხვაგვარად გადაცემა.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სუბიექტის უფლებები:

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სუბიექტს (შემდგომში - **,,სუბიექტი“**) უფლება აქვს მოსთხოვოს კომპანიას დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ პერსონალური მონაცემები, ასევე, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება;

სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს წვდომა მის იმ პერსონალურ მონაცემთან დაკავშირებით, რომელიც მუშავდება;

სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ პერსონალური მონაცემის ჩასწორება, თუკი იგი არასწორი/არაზუსტია;

სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემის წაშლა;

სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემების სხვა პირზე/ორგანიზაციაზე გადაცემა;

სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოითხოვოს კომპანიის მიერ დამუშავებული მისი პერსონალური მონაცემები, რის შემდგომაც მისთვის ინფორმაციის გადაცემა მოხდება შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

სუბიექტმა მისი დამუშავებული პერსონალური მონაცემების გამოთხოვის შესახებ შეტყობინებით უნდა მიმართოს კომპანიას, შემდგომი ელექტრონული ფოსტის მისამართზე - support@cokerewards.ge

სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაციის გადაცემა მისთვის სასურველი ფორმით წერილობით ან ზეპირად, რაზეც ასევე უნდა გააკეთოს შესაბამისი დათქმა მის მიერ კომპანიის მეილზე გაგზავნილ შეტყობინებაში/განცხადებაში;

სუბიექტს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემის დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან/და განადგურების შესახებ;

სუბიექტს უფლება აქვს გამოითხოვოს მის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე გაცემული თანხმობა, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

იმ შემთხვევაში თუ სუბიექტი გამოითხოვს მის მიერ გაცემულ თანხმობას პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით, თუმცა მისი პერსონალური მონაცემი უკვე მოთავსებულია გათამაშების დოლურაში, ასეთ შემთხვევაში თუკი დოლურადან ამოვა აღნიშნული მონაცემი კომპანია გამარჯვებულ სუბიექტს არ დაუკავშირდება, ხოლო დოლურას მიღმა ელექტრონულად არსებული პერსონალური მონაცემები განადგურდება;

იმისათვის, რომ სუბიექტმა გამოიყენოს მისთვის წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკითა და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები შესაძლოა საჭირო გახდეს მისი პიროვნების იდენტიფიცირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მესამე პირების მიერ ინფორმაციის გამოთხოვა. შესაბამისად, სუბიექტის მიერ უფლების გამოყენებისას მას შესაძლოა მოეთხოვოს მისი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის წარმოდგენა.

სუბიექტი ასევე სრულად სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც მას მინიჭებული აქვს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით;

პერსონალურ მონაცემთა ჩასწორება ან/და წაშლა:

სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს კომპანიას პერსონალურ მონაცემთა ჩასწორების შესახებ გათამაშების უშუალოდ ჩატარებამდე (2025 წლის 09 იანვარი) 05 (ხუთი) დღით ადრე, არაუგვიანეს 2025 წლის 09 (ცხრა) იანვრისა;

- მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მიმართოს კომპანიას მისი პერსონალური მონაცემის წაშლის ან/და ჩასწორების მოთხოვნის უფლებით, სუბიექტის მიერ ამ მოთხოვნის განხორციელებისას უშუალოდ გათამაშების ჩატარებამდე 05 (ხუთი) ან ნაკლები დღით ადრე მიმართვის შემთხვევაში, კომპანიას შესაძლოა უკვე მოთავსებული ჰქონდეს სუბიექტის პერსონალური მონაცემი დოლურაში, ასეთ შემთხვევაში თუკი დოლურადან ამოვა აღნიშნული სუბიექტის მონაცემი კომპანია გამარჯვებულ სუბიექტს არ დაუკავშირდება, ხოლო დოლურას მიღმა ელექტრონულად არსებული პერსონალური მონაცემები განადგურდება;

- სუბიექტის პერსონალური მონაცემები წაიშლება არაუგვიანეს მისი მიმართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

- სუბიექტი აპლიკაციიდან მისი პერსონალური მონაცემების წაშლისათვის უნდა მიჰყვეს შემდეგ ინსტრუქციას: გახსენით მომხმარებლის პროფილი > დააკლიკეთ “პროფილის გაუქმებას”

ცვლილებები კონფიდენციალურობის პოლიტიკაში:

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა შესაძლოა განახლდეს დროდადრო და მასში შევიდეს გარკვეული ცვლილებები, რაც ავტომატურად აისახება აღნიშნულ საიტზე კონფიდენციალურობის პოლიტიკის განახლებული ტექსტის გამოქვეყნებით. შესაბამისად იმისათვის, რომ მუდმივად გქონდეთ განახლებული ინფორმაცია კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესახებ, გთხოვთ თვალი ადევნოთ საიტზე არსებულ მის საბოლოო ვერსიას.

საკონტაქტო ინფორმაცია:

კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ წინამდებარე მისამართზე: support@cokerewards.ge